სახალხო გაზეთი

№ 392 შაბათი, 3 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 392

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ტფილისის მოქალაქენო!

ოც აგვისტოს გამოქვეყნდა ქალაქის ამომრჩეველთა სიები. ამ სიების შესწორება შეიძლება **მხოლოდ 3 სექტემბრამდე.** ამიტომ, გაშინჯეთ სიები და ვინც იქ მოხსენებული არა ხართ, **დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ** ქალაქის გამგეობას **სიების შევსება და შესწორება.** ვინც 3 სექტემბრამდე სიის შესწორებას არ მოითხოვს, არჩევნებში მონაწილეობის **უფლებას საბოლოოდ დაჰკარგავს.**

„სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . **80 კაპ.**

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დ. ყვირილაში

„ორიპენის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად

მწუხარებით დახოცილნი კონსტანტინე და ანასტასია დიმიტრის ძე და ასული ბაქრაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ქალიშვილის, ხოლო მეორის დისწულის

ეკატერინეს (მატულის)

გარდაცვალებას. პანაშვიდები საღამოს 6 საათზე; გამოსვენება კვირას, 4 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—1483—1)

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე კვირას, 4 ენკენისთვეს, 1911 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წრის სცენის მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I. **„რაც გინახავს ვეღარ ნახავ"**
კომ. 3 მოქ. ცაგარლისა.

II. **სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა**
პოლიტიკური ბუფონადა, 1 მოქ. თარგ. კ. ზახანაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, გოდერძი, კაზელი, ქართველიშვილი, ჩერქეზიშვილი, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, სალაყაია, სვანელი, ნარი, ზახანაშვილი, შანშიაშვილი, ჭამკვეტაძე, შანშიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრის ადმინისტრაცია დამეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

ადმინისტრატორი ა. ჭიაბერაშვილი. (8—302—2) მორიგე წევრი ირემაძე.

ა. კ. გედევანიშვილის საბავშვო ბაღი

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება 8თ სექტემბერიდან. ბავშვები მიიღებიან 5-დან 7 წლამდე. ბავშვების ჩაწერა და დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი, № 8, ნ. ნაკაშიძესთან 12 საათიდან 2-მდის, ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა. (8—1475—5)

საბურთალოზე მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—131)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამე. ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დუმბაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. **ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ.** და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და **საშარდე** მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი ს. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული, ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—551)

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

შაბათს, 3 ენკენისთვეს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართულად:

სიძე-სიმამრი

კომ. 3 მოქ., გ. გუნიასი.

წარმოდგენის შემდეგ **ლ ო ტ ო.** დასაწყ. საღ. 9 საათზე.

ბაღში უკრავს სიმებიანი მუსიკა და საზანდარი.

თეატრში შესასვლელი ფასი 10—50 კაპ-მდე. სტუმრები იხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ.

ანონსი: „ახალ კლუბში" გამოფენილია ახალგაზდა მხატვრის კ. ქავთარაძის ნახატები. (1—1432—1)

ზუბალაშვილის

სახელობის სახალხო სახლში წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ახლო მომავალში სახალხო სახლში მომუშავე **სცენის მოყვარეთა** რიცხვი გამრავლებული იქნება. ახლად მიღებულ სცენის მოყვარეებისათვის მიმდინარე წლის განმავლობაში წრის **რეჟისორის ალ. წუწუნავას** ხელმძღვანელობით გამართული იქნება უსასყიდლო სისტემატიური მეცადინეობა **სასცენო ხელოვნების შესასწავლად.** როცა გამოირკვევა ჩაწერილ სცენის მოყვარეთა ძალები, გამართული იქნება მათი გამოსაცდელი წარმოდგენა. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მსურველთ, ჩაეწერონ რეჟისორთან, წრის კანტორაში საღამოს 5—7 საათამდის. ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 102, ბინა № 6. (3—792—2)

ქუთაისის ქართული გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ, თანახმად სამზრუნველო კომიტეტის დადგენილებისა, მომავალი სექტემბრიდან აღნიშნულ გიმნაზიის მოსწავლეებს წლიურად გადახდებათ სწავლის ფული. მოსამზადებელ კლასებში ექვსი თუმანი, ხოლო გიმნაზიის კლასებში—შვიდი თუმანი. (3—1477—3)

პროგიმნაზია ე. ხ. ლისიციანისა

ორივე სქესის ბავშვთათვის, მთავრობის პროგიმნაზიების უფლებებით. მისაღები გამოცდა პირველ კლასში 31 აგვისტოს, 1 და 2 ენკენისთვეს, დანარჩენ კლასებში (მოსამზადებელში) 2 და 3 ენკენისთვეს დილის 10 საათზე. სწავლა დაიწყება 6 ენკენისთვეს. სერგეევის ქ., № 25. (5—1476—5)

ქუთაისში
თ. მთავრიშვილისა და ამხ.
წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები: „ბუთანი", ქართული ენის სახელმძღვანელო, მესამე და მეოთხე წელს სასწავლებელი—შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების: ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ; ფასი ყდით 17 შაური. „საქართველოს ისტორია", მოკლე სახელმძღვანელო, შედგ. ს. ქვარიანის მიერ. ფასი ყდით 2 აბაზი. „ქართული გრამატიკა", შედ. სილ. ხუნდაძის მიერ, ფასი ყდით 3 აბაზი. „პირველი დარიგება სამღვთო სჯულის სწავლებაზე, შედგ. არქიმან. ნესტორის (ყუბანეიშვილის) მიერ. ფასი ყდით 6 შაური. „ქართული წერის დედანი", შედგ. ს. დათეშიძის მიერ. ფასი 5 შაური. „საქართველოს ქარტა", ფასი ერთი შაური. „ქართული მოძრავი ანბანი", ფ. 2 აბაზი

აქვე იყიდება რუსულ ენის ახალი სახელმძღვანელო მესამე და მეოთხე წელს სასწავლებელი (методическая хрестом. по русскому яз.), შედგ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის მიერ, ფასი ყდით 4 აბაზი; და აგრეთვე ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებსა და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ: საკუთარ გამოცემებზე 20 პროც.; ხოლო სხვა წიგნებზე—10 პროც.—15 პროც. (ყდის ფასი ერთი შაურია). (4—1480—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდას ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ს. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წთ.—1090—149)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathien-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—4)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—98)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი კალაშვილისა

ექიმი ე. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 —129)

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 6—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—23)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

დოქტორი მედიცინის
ი. გ. რუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 18, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—15)

ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—99)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—18

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოსიარულე ავადმყოფთათვის განჯის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნერის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—91)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე დაბრუნდა ტფილისში. მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

პაპიროსი „[illegible]"
ქარხანა ამხ. „კომეტისა".
ქიმიური გამზით, რომელიც ნი-
კოტინის ძალას 50% აკლებს.

(25—1456—8)

ნაფიცი ვექილი
სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

გადმოვიდა ვერაზე, იზმაილოვის ქ. 20. (5—1478—2)

პირველ ენკენისთვიდან კვლავ დაიწყებს გამოსვლას ყოველ-დღიური გაზეთი

„სინათლე"

ივანე პ. როსტომაშვილისავე რედაქტორობით სრულიად სხვა სახით. გაზეთის ფასი იქნება ყველგან სამი კაპ. (წინანდელი ორი კაპ. მაგივრად), ხოლო თვეობით გამომწერთათვის—შინ მიტანით 65 კაპ., პირველ იანვრამდის კი—2 მან. 40 კაპ. თანამშრომლებს ვსთხოვთ კვლავაც განაგრძონ თანამშრომლობა. საჭიროა გაზეთის დამტარებელნი და გამყიდველნი. პირობების შესატყობად მიჰმართეთ ახლავე ივ. როსტომაშვილს (თუმანიანთ შესახვევი, № 24—Тумановскій пер., 24).

რედაქტორ-გამომცემელი ივ. პ. როსტომაშვილი.
(5—4)

ადგილობრივი პრესა

ივ. პ. როსტომაშვილის გაზეთმა „სინათლემ" ისევ ამოაშუქა. ეს ამბავი „პრესის" განყოფილებაში კი არა, „გასართობებში" უნდა მოგვექცია, მაგრამ ჩვეულებას ვეღარ ვუღალატეთ: რაც უნდა იყოს, „სინათლე"-ს გაზეთის ფორმა აქვს, „მოწინავე" წერილიცაა დაბეჭდილი, ჩვეულებრივი განყოფილებანია. მაგალითად, იმ განყოფილებაში, რომელსაც „დეპეშები" ჰქვიან, 27—30 აგვისტომდე „სინათლე"-ს ატყობინებენ, რომ თეირანთან ბრძოლის დროს მაჰომედ-ალისთვის „ყუმბარით ყური მოუგლეჯიათ". მოდი და ამის შემდეგ ანგარიშს ნუ გაუწევთ ახალ „სინათლე"-ს. მაგრამ ყველაზე საინტერესო მოწინავე წერილია.

„გაზეთი „სინათლე" კვლავ იწყებს გამოსვლას,—გვატყობინებს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი,—და კვლავაც ჩვენი რედაქციით—გამომცემლობით. მთავარი ძარღვი გაზეთის მიმართულებისა კვლავაც ის დარჩება, რაც პირველ ხანებში იყო, მხოლოდ ერთი დიდად აღსანიშნავი ცვლილება შეგვაქვს: ეს გახლავთ დასურათება ყველა იმ წერილებისა, რომლების გაგება უიმისოდ ძნელი და მოუხერხებელია".

აქამდის ეს დიადი „დაუფასებელი ცვლილება ვერ შეუტანია „ხალხის ამ საუკეთესო გონებრივს ორგანოში", რადგანაც რედაქცია „სინათლისა" ხელმოკლე ყოფილა", ეხლა კი არა უჭირთ რა, სამი კაპიკი გაუხდიათ. ამ დიად ცვლილების განსახორციელებლად. ბ-ნ როსტომაშვილის კიდეც დაუბეჭდია ერთი სურათი. კარგი იქნება, თუ შემდეგს ნომერში ყურ-მოჭრილ მაჰომედ-ალის სურათსაც დაბეჭდავს ბ-ნი როსტომაშვილი. რახან დასურათხატებაა—დაე იყოს!..

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** ტფილისში დაბრუნდა თავის მეუღლითურთ 6 სექტემბერს.

◆ კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ ე. კარლინსკის **ნება დართო ავტომობილების მიმოსვლა მოაწყოს:** ტფილის—სიღნაღსა, ტფილის—მანგლისსა და ტფილის—ბორჯომს შუა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებას ნება დართო მუშტაიდის ბაღში, 18 სექტემბერს, **სეირნობა გამართოს** საზოგადოების კონების გასაძლიერებლად.

◆ **გოლიცინის სისტემის სარწყავ არხთა გამგემ** კავკასიაში გადმოსახლებულთა ნაწილის გამგეს სთხოვა, ნება დართოს მის გამგეობაში მყოფ მიწებში ჩაყაროს ვაზი და სხვა ხეხილი და საბოტანიკო ბაღის დირექტორის წინაშე იშუამდგომლოს, რათა ბაღიდან დაეთმოს ვაზი, თუთის ხე, ლეღვი და სხვა ხეხილი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუბერნატორს მოახსენა, რომ მე-10, 11 და 12 უბნებში **სასანიტარო სამზრუნველოთა კრებამ** განიხილა საკითხი ნაძალადევის მოწესრიგებისა. აღნიშნეს, რომ საჭიროა ერთ-ერთ ადგილს ნაგავის საწვავი ფეჩი დაიდგას, რადგანაც მტკვარში გადატანა სიშორის გამო მოუხერხებელია და ძლიერ ძვირადაც ჯდება. მცხოვრებნი იძულებულნი არიან ნაგავი აქვე ხრამში დასწვან; ნაგავი კი კარგად არ იწვება, ლპება და საშინელი შმორი ასდის. ავჭალის ქუჩაზე საჭიროა საზოგადო ფეხის ბილიკების გაკეთება. აქამომდე უნდა გაენათებინათ ხუდადოვისა და პარკის ქუჩები. პოლიცმეისტერს შესაფერი წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, მაგრამ გამგეობას დღევანდლამდე არავითარი ღონისძიება არ მიუღია. ამიტომ პოლიცმეისტერი სთხოვს გუბერნატორს, დაავალოს გამგეობას ეხლავე შეუდგეს ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

◆ მიწად-მოქმედ დეპარტამენტმა სას.-სამეურ. საზოგადოებას, საერობო სამმართველოებს, და საერობო საქმეთა გამგეობათ აცნობა, რომ მზადაა დაეხმაროს სოფლის მეურნეებს ხეხილის კულტურის მავნე სენთან საბრძოლველად. ამიტომ ის მზადაა გამოუგზავნოს 1912 წლისათვის, „შვეინფურტის" მწვანე ფხვიერი შაბიამანი და სხვა წამლები.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ პირველ სექტემბრიდან არტანუჯის (ბათომის ოლქშია) საფოსტო-სატელეგრაფო კანტორასთან **შემნახველ-გამსესხებელი კასა გაიხსნას**. საფოსტო განყოფილება გაიხსნა ანაკლიაში (ზუგდ. მაზრა) და გალში (სოხუმ. ოლქი).

◆ როგორც გავიგეთ ტფილისის ფოსტა-ტელ. ოლქის უფროსის თანაშემწე ბ. **დებრიუკინი სამსახურს თავს ანებებს**.

◆ **სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა** ლაღიძისა და ზემმელის ხელოვნურ წყალთა ქარხნები, რომელნიც საქმის დაყენების მხრივ ტფილისში საუკეთესოდ არიან ცნობილნი. ლაღიძის ქარხანაში აღმოაჩინეს, რომ გაზის საყვან მილებს შუა ტყვიის ნაწილები ჭარბადაა. გარდა ამისა ნადუღი წყლის თადარიგი თუნუქის ჭურჭელშია შენახული. ზემმელის ქარხანაში კი ამ ნაკლის გარდა მილები ძლიერ დაძველებულია, შენობაც ძველია და უსუფთაობაა. კომისიამ წინადადება მისცა ეს ნაკლი მოიცილონ.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. მუსელიუსი საფოსტო დაწესებულებათა **სარევიზიოდ ცაგერში გაემგზავრა**, საიდანაც 7 სექტემბერს დაბრუნდება.

◆ **ქალაქის მოურავმა** ქალაქის გამგეობის ყველა განყოფილებათა გამგეებს დაავალა ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ სახმარ მასალათა შესაძენად წელიწადში რამდენი თანხა სჭირდებათ.

◆ **გაძლიერებული დაცვის წესები** კიდევ ერთის წლით დარჩება კავკასიაში. გაძლიერებული წესები შემოღებულ იქმნა ტფილისსა და ტფილისის მაზრაში ნაცვლად სამხედრო წესებისა, რომელიც გაუქმებულ იქმნა. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში საგანგებო დაცვის წესები ერთის წლით კიდევ დარჩა.

◆ **არჩილ ჯორჯაძის თხზ.** მე-3 წიგნი დაიბეჭდა და ამ ცოტა ხანში გამოვა. გარდა ამის წინად მოყვანილ შინაარსისა ამ წიგნში მოთავსებულია კიდევ რამდენიმე წერილი ხელოვნების შესახებ 1901—1902 წლ. „ცნობის ფურცელ"—მოამბიდან". სახელდობრ: 1, ქართული თეატრი. 2, თეატრი და ხელოვნება. 3, ხელოვნების გამარჯვება. 4, ქართული ხელოვნება გამოფენაზე. კ. გ. გაბაშვილის მხატვრობის გამო. 6, „ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი"?

◆ **დასაფასებელი გადასახადი.** ქალაქის კასაში 1911 წლის 1 იანვრიდან წარსულ აგვისტოს 27-დევ შესულა სულ 521,916 მან.; ამავ ხნის განმავლობაში ქალაქს შარშან შემოსვლია 486,714 მან.

◆ **ხმოსანთა ამომრჩეველთა რიცხვში** ქალაქის თვითმმართველობის მიერ შედგენილ სიაში შეტანილია 6,288 კაცი, დარჩენილი გადასახადი შეუტანია და ამით არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიუღიათ მხოლოდ 353 კაცს.

◆ **ქართ. სას.-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრებს** განუზრახავთ მანთაშევის მამულში მომუშავე მატორიან გუთნის დათვალიერება და შესწავლა. ამ მიზნით სად. აშაგასერალში ამ დღეებში გაემგზავრებიან.

◆ **ტფილისში განზრახულმა ხილეულობის გამოფენამ**, რომელსაც მეხილეობის საზოგადოება და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო მართავს, რუსეთის შიდა გუბერნიის ყურადღება უკვე მიიპყრო. ბევრს ქალაქებს უკვე გადაუწყვეტიათ, ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ. თავიანთი გადაწყვეტილება ტფილისში უკვე აცნობეს გამოფენის გამმართველთ.

◆ **ამიერ-კავკასიის ზოგიერთ მეურნეებს** განუზრახავთ, თავიანთ ადგილებში **საცდელად** რუსული პურის მარცვალი და თესლეულობა დასთესონ. ეს გადაწყვეტილება მათ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აცნობეს და თან თესლეულობასა და შესაფერს დარიგებას სთხოვენ.

◆ **სასანიტარო დათვალიერება.** სექტემბერს სასანიტარო კომისიამ ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ნ. ი. არღუთინსკისა, ხმოსნის მ. ნ. ვესელოვზოროვისა, ქიმიკოს გ. გ. ალიბეგოვისა და სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურის ბ. ს. ბაბოვის მონაწილეობით და ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით ქალაქის მეშვიდე უბანში (ავლაბარი) სახლები და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა და ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინა. კომისიამ ყველგან შესაფერი განკარგულება მოახდინა.

◆ **სასანიტარო კომისიამ ხელოვნურ წყლების ქარხნებს**, სამინისტროს დადგენილების თანახმად წინადადება მისცა, რომ წყლისა და გაზის საყვანი მილები კარგად მოკალულ სპილენძით იყოს გადაკრული, ტყვიის ნაწილები კი 10%-ს არ აღემატებოდეს.

◆ **ქალაქის სასანიტარო კომისიამ** დაადგინა, ყველა ოქმები, რომელიც კი გუბერნატორს წარედგინება სასანიტარო წესების დამრღვევთა დასაჯარიმებლად პირველად კომისიების სხდომებში განიხილონ და მერე რიგ-რიგად ჩასწერონ ხოლმე დავთრებში.

◆ **ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავმა ალალო თუთაევასაგან შემდეგი წიგნები და სურათი მიიღო.** 1) კრებული, მხ. ხელთ. XVIII საუკ. დაწერილი სქელს თეთრს ქაღალდზე. 1. თეიმურაზ პირველი, ა) ვარდბულბულიანი ბ) შამი-ფარვანიანი, გ) ქებით მკობა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯნისა, დ) ანბანთ-ქება, ე) ქება წმინდისა და ერთარსასა სამებისა ე) ლეილმეჯნუნიანი. 2) ყაფლანიშვილი დიმიტრი. დღესასწაულნი (ლექსად), 3) არჩილ მეფე ა) საქართველოს ზნეობა, ბ) თქმა სიტყვათ, საჩინოთა ასოთა რვათა გვამისათა. 4) ბაგრატიონი დიმიტრი. ლექსები: ნ) ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განძრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართებლობის, ნაპოვნი და მიძღვნილი ალექსანდრე ამილახორის მიერ იმერეთის მეფის სოლომონისადმი. 2) ასტროლოგია XIX საუკ. მხ. ხელთ. დაწერილი ლურჯ-ქაღალდზე. 3) ზეთის ფერადებით ნახატი სურათი განძის ხანის აბაზ მირზასი წარსული საუკუნებისა.

წვრილი ამბები.

◆ 1 სექტემბერს, გორის მოქალაქე ალექსი შჩერბაევი სიმთვრალის დროს თავის შვილს მიხეილს წაეჩხუბა და დანით მკერდში მძიმედ დასჭრა. მამა შეიპყრეს. დაჭრილი შვილი კი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ჭრილობა ძლიერ საშიშოა.

◆ 1 სექტემბერს ტფილისში 29 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე სასტიპენდიო თანხიდან სტიპენდიების განაწილების შემდეგ, მორჩენილი ფული ერთდროულ დახმარებად მისცეს 11 სტუდენტს: გ. მღებრიშვილს, ნ. ქუჩუკაშვილს, დ. ნ. კაკაბაძეს, პ. ჩხაიძეს, ა. კორინთელს, ი. ჭავჭანიძეს, ა. გოდერიძეს, ა. მჭედლიშვილს ვ. ქუმსიშვილს და გ. უშვერიძეს—თითოს ხუთ-ხუთი თუმანი

გარდა ამისა გამგეობამ დაადგინა თავის ხარჯით გამოსცეს ი. ს. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო", I ნაწილი და ავტორთან შესაფერი მოლაპარაკება გამართოს.

◆ გუშინ თ. დ. ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით **სას. სამ. საზ. საბჭოს კრება მოხდა.** სხვა მორიგ საკითხთა შორის კრებამ საბჭოს წევრის ვ. ი. რცხილაძის მოხსენება მოისმინა მოტორიან გუთნის „შათანუგის" შესახებ, რომელიც აშაგასერაში მანთაშევის მამულში მუშაობს. კრებამ მოხსენებისათვის ვ. რცხილაძეს მადლობა გადაუხადა.

სასწავლებლებში

◆ **შუამდგომლობა**, წელს ტფ. სასულიერო სემინარიაში არ მიიღეს 30 კაცი, სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, თუმცა სასულიერო სასწავლებლის გამგეობიდან შესაფერი მოწმობები და რეკომენდაციები ჰქონდათ. როგორც გავიგეთ, სასწავლებლის გარედ დარჩენილ მოსწავლეთა მშობლებს განუზრახავთ, ექსარხოსს საერთოდ მოსწავლეების მიღება სთხოვონ.

სასამართლო

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე** ნ. ა. ტოლპიგო ტფილისში დაბრუნდა.

ქუთაისი

◆ **ქალაქის სალორიის აგარაკის მოიჯარადრენი** ხშირად ფარულად გადადიან საზღვარს და ავიწროებენ ქალაქის გამგეობის მიერ დატოვებულ ქუჩებს. ამიტომ ქალაქის გამგეობამ საჭიროდ დაინახა, რომ ქუჩების ნაპირებზე ჩაასოს რკინის რელსები.

◆ **შავი ზღვის რკინის გზა.** 27 აგვისტოს ქალაქის მოურავმა ფოსტით შუამდგომლობის ქაღალდი გაუგზავნა გზათა მინისტრს შესახებ იმისა, რომ შავი ზღვის რკინის გზის მიმართულების გამოკვლევის დროს ყურადღება მიაქციონ და გამოიკვლიონ მეორე მიმართულება ზუგდიდი, ხონი, ქუთაისი, რიონი. შუამდგომლობასთან ერთად გაგზავნილ იქმნა სამინისტროში: ა) ახალი მიმართულების განმარტებითი წერილი, ბ) განზრახული გზის პლანის პირი, გ) სიგძით მოხაზულობა განზრახული მიმართულებისა და დ) ხელოვნურ შენობათა სია.

◆ **დათხოვნა.** გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან დაითხოვეს ჩოხატაურის ნაწილის კანცელარიის მწერალი კოლია ძლენტი. მიზეზი არ იციან. ის კი დღე დღეზე ბოქაულობას მოელოდა.

◆ **პოლიციელის [illegible]** 26 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, უფროსი გოროდოვოი ლეონტი რუხაძე მიდიოდა ტფილისის ქუჩაზე საგანგებო უწყების ჩასაბარებლად. წინ შემოხვდა ეტლში მჯდომი შეზარხოშებული ორი აფიცერი: გიორგი სერაფიონის ძე შენგელია და დავით დიმიტრის ძე წერეთელი. რუხაძემ მხედრული სალამი მისცა და ჩაიარა, მაგრამ აფიცრებმა შეაჩერეს ეტლი, გადმოხტნენ და დააბრუნეს რუხაძე, რომელსაც წერეთელმა რამდენჯერმე გაარტყა, რატომ სალამი არ მომეციო. პოლიციამ მათ ოქმი შეუდგინა.

◆ **ახირებული წვეული.** 21 აგვისტოს, საფიჩხიაში კონსტანტინე როსტომის ძე ჩხატარაიშვილის ქორწილში სხვათა შორის მიწვეული იყვნენ გიორგი ახვლედიანი და რაჟდენ გიგაშვილი. როცა სტუმრები შეზარხოშდნენ, გიგაშვილი გაჰყვა ახვლედიანს გარედ, გაიტყუა ის ეზოში და სიკვდილის მუქარით წაართვა მას 12 მანეთი. შემდეგ შეიპარა მძინარე დედოფლის ოთახში, გადახადა საბანი და გახრწნას უპირებდა, მაგრამ ქალს გამოეღვიძა და მორთო ყვირილი. გიგაშვილი დაიჭირეს. („მნათობი")

ბათომი

◆ **სამოქალაქო სასწავლებლის** ინსპექტორი აცნობებს ქალაქის გამგეობას, საჭიროა პარალელური მესამე კლასის გახსნა, რადგან თხოვნელი 98 მეტია და მესამე კლასში კი 27 ადგილის მეტი არ არისო. ამისთვის იგი სთხოვს ქალაქის გამგეობას გადასდოს ამ საჭიროებისათვის 710 მანეთი.

პრემიერ-მინისტრ სტოლიპინის დაჭრა

დეპეშები.

1 სექტემბერი.

კიევი. ქალაქის თეატრში საპარადო წარმოდგენის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს რევოლვერი ესროლეს. სტოლიპინი დაიჭრა. მსროლელი დაატუსაღეს.

კიევი. სასახლის მინისტრის დეპეშა: 1 სექტემბერს ქალაქის თეატრში საპარადო წარმოდგენის მეორე ანტრაქტის დროს მინისტრ-პრეზიდენტის მოკვლა უნდოდათ. სროლის ხმაზე, მისი უდიდებულესობა იმპერატორი ლოჟაში შებრძანდა. თეატრში მყოფმა ხალხმა ხელმწიფისადმი უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოსახატავად სახალხო ჰიმნის შესრულება მოინდომა. ჰიმნი რამდენჯერმე იმღერეს. შიგა და შიგ ხალხი გალობდა „აკურთხე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი"... მისმა უდიდებულესობამ ინება და ხალხს თავი რამდენჯერმე დაუკრა. ამის შემდეგ იგი ოჯახობით სასახლეს წაბრძანდა.

სულთქმით ქვითინებდა...

—ვიშ, რა მომჯადოებელი, რა გრძნეული რამ არის ეს შემოღამება, ეს ბუნება პოეზიის ნაზ თაიგულად გადაფურჩქვნილი, თითქოს შემოქმედების ძალთა-ძალს ფებ-აპოლონს ამ ადგილისათვის ეძლვნას თავისი მადლიანი სხივოსნობაო! წარმოსთქვა სიკომ, რომელიც ქალაქის გარედ, წერწეტა კონცხზე წამომდგარიყო და თვალი მოავლო მთვარის სხივებში მოლივლივე არე-მარესა.

მართლაც, შეუდარებელი იყო ის ჟამი: თითქოს ცა და ხმელეთი შესჯიბრებიან ერთურთს სილამაზეშიო, უფრო და უფრო კეკლუცდებოდნენ, ცა რომ ფირუზდებოდა და ვარსკვლავთა ხომლის ციმციმით იგვირისტებდა მკერდსა, ხმელეთი ზურმუხტდებოდა და მალხაზ ყვავილებით იქარგავდა წიაღსა. თუ ცა გაცრეცილ მთვარის სხივებს იებად ჰშლიდა თვის კლემა-მოსილ კაბადონზე, ნაკადული ბროლის შხეფებს მარგალიტის მძივებად აწყობდა და ძღვნად უგზავნიდა საბალნაროსა. თუ ცა ამაყობდა სპეტაკ ღრუბლებით, რომელნიც სავანართოლას ქანდაკებასავით გულ-ცივ სიდიადით გაყურებულიყვნენ და უგრძნობლად ისმენდნენ მთვარის ელეგიასა, დედამიწას თავი მოჰქონდა ბეთესავით მედიდურ მყინვარ-იალბუზით, რომელთაც ყინვით მოვარაყებული ჯიღა დაედგათ თავზე და გულ-ცივ მედიდურობით ისმენდნენ ზარისაგან გამხელილ ხვაშიადსა.

ყველგან შვენიერება მეფობდა. მწვანედ აგრუზული, ბალახით აფოფინებული წალკოტი ფიანდაზად ეფინებოდა გაზაფხულის შიკრიკ ნიავსა და უხვ სურნელებას მიმოაკმევდა. ტბანი და მდინარენი ვერცხლოვან ზვირთებს აზიმზიმებდნენ, თითქოს ემზადებოდნენ ნაზი დიანის ქესკუნ ტანზე, ატლასის ლოყებზე ამბორის აღმოსაკვნელად, რომელიც ოლიმპის მთიდან მოფრინდებოდა, მოიხმობდა ტევრის შრიალში დაბადებულ ფერიებსა და მათთან ერთად იბანავებდა.

სიკო ყურადღებად გადაქცეული, გასცქეროდა; ბუნების დიად სანახაობით იხიბლებოდა, მის ჰანგად ქსოვილ ზღაპრებით, აკორდებათ დაწნულ სიზმრებით და ოდნავ, განაბულის ხმით დიდებულ ჰიმნს უკმევდა შემოქმედს, რომელსაც ქვეყანა შვენიერების სავანედ გარდაექმნა. ვითა ბუნება ეთერის ტალღებში მონარნარე, მისი გულიც გრძნობათა ზვირთებით გიჟმაჟობდა. სიტკბოება სინაზით ივსებოდა, უძლიერესს ჰარმონიას სთხზავდა; ახალ ცხოვრებას წრფელის ღიმით, ლმობიერ ჰანგით ეგებებოდა.

მის თვალებში ოცნების აკვანი ირწეოდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც დიდებულმა მნათობმა ვერცხლის დალალნი გადმოშალა, როდესაც მაისის ვარდის პირველი კოკორი გადაიფურჩქნა და სირთა მაყრიონმა ზევსური ჩააწკრიალა, მასაც ახარეს გიმნაზიის კურსის შესრულება.

რა ალტაცება, რა ექსტაზით აჩქროლდა მთელი მისი ბუნება. ერთი საათის წინ მისთვის ძალიან ახლოც იყო და ძალიან შორსაც ბედნიერება.

„თუ ამ ჟამად მოწიფე ვარ, ჩემს სურვილ-ნებას ფრთები აქვს შეკვეცილი, მალე თავისუფალი გავხდები. მეც ჩავეწერები ქვეყნისათვის მზრუნველთა გუნდში"—ფიქრობდა სიკო და—აუსრულდა კიდეც წადილი.

რაღა ჰქონდა სანატრელი! ერთად ერთი ის, რომ თავისი ყრმობის მეგობარნი ერთად შეკრებილნი ენახა. გაეხსენებინათ თავიანთი მოწოდება და განშორების ჟამს დაედოთ ჰანიბალის ფიცი, რომ მარად და ყველგან ფხიზელ გუშაგად ეყოლებოდნენ საყვარელ ქვეყანასა.

სიკო იმ ბალს გადაჰყურებდა, სადაც უნდა ნადიმი ჰქონოდათ. ნიავს ხანდასმით მოჰქონდა ჭაბუკთა ჟივილ-ხივილი და კრიმანჭულები. „იკისკისეთ, იმხიარულეთ, ძმიებო, მომავალს ნეტარებით შეეგებენით, თუნდა ის მწუხარება, რომელიც ნაადრევად მივიღეთ, გვეჩვენოს მღერად იმასთან, რომელიც მოგველისო"...—ჰფიქრობდა იგი.

სიკო თავქვე დაეშვა და ახალ სტუდენტებს შეუერთდა.

—სიკოს გაუმარჯოს, სიკოს!—გაისმა მისალმების ხმები.

სიკომ იგინი სიცოცხლით ალსავსე, თვალებ გაბრწყინვებული რომ დაინახა, უფრო გამხიარულდა, აიღო ღვინით სავსე ჭიქა და დაიწყო:

ძვირფასო ამხანაგ-მეგობრებო! დღეს დავშორდებით ერთმანეთსა და უწყის როდემდე აღარ შევხვდებით, ვინ იცის ცხოვრების ბობოქარმა ტალღებმა საით გააქანოს ჩვენი ხომალდი. რომელ ქურუხ კლდეს შეახეთქოს შესამუსრავად, რა შეუბრალებლად დაგვესისინოს მძაფრმა აკვილონმა; მაინც იმედი, ყოვლის შემძლე იმედი, არ დაგვემსხვრას, სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ, არ დავკარგოთ ღუზა ცხოვრებისა; ქარის პირდაპირ მივილტვოდეთ; მაშინ თვით ჰერკულესიც კი განცვიფრდება ჩვენის სიმამაცითა. ვით ელექტრონის რკალი ყველა ჩვენგანს ერთი რამ უნდა გვაერთებდეს—ესაა მოვალეობა სამშობლოს წინაშე. გავიხსენოთ თუ როგორ არ გვაკმარებდნენ იმ საერთო სიდუხჭირეს, რომლითაც სული ეხუთებოდა ყველა ტომის მოზარდ-თაობას, და სწორ-უპოვარი უტიფრობით ცდილობენ აღმოეფხვრათ ჩვენი გულიდან ეროვნული გრძნობა. რა დედინაცვლობას გვიწევდა ოჯახი, სადაც აღარ გაისმოდა მსჯელობა იმ ენით, რომლითაც ნეტარ დროს ჩანგს დამღეროდა შოთა, რომლითაც სწარმოებდა სამართალი თამარისა და ვახტანგისა, რომელიც ათონის მთაზე ფსალმუნებდა წმინდა მამათაგან. გავიხსენოთ ის, თუ რამდენჯერ ავცრემლებულვართ ჩვენი კულტურის დაქვეითებით და შევეცადოთ მის აყვავებას.

ილიას თქმისა არ იყოს, „ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყოფადი". ქვეყანა ჩვენგან ელის ხსნასა და ჩვენც, ვით ანდამატი, მისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, იმის ტკივილთა მოლბუნებას ვცდილობდეთო. ჩაგრულთათვის გული არ შესტკივათ ფუფუნების შვილთ, მათი საქმე კარიერა, უმაღლეს—უთბილესი ადგილების დაჭერა. და მის მისაღწევათ მზად არიან ყოველი ადამიანური ღირსება დაჰკარგონ, მამონის სამსხვერპლოს შესწირონ მოვალეობა მამულიშვილისა და მოქალაქისა. ჩვენ კი ნუ ვიქნებით აჩრდილნი აჩრდილთა შორის. ჩვენი ყრმობის სურვილი ცვალებადია და ჰრელი, ვით გაზაფხულისას გაფურჩქნილი ბალნარი და უნდა ვეცადნეთ, რომ ამ სურვილებში სამშობლოს სიყვარული მარად ოცნების ბუჩქად ყვაოდეს, სასიცოცხლო ემბლემად ფრიალებდეს.

თუ სიყვარული, საზოგადოდ, სიმბოლოა უკვდავებისა, მამულისადმი ტრფიალი სიმბოლო იქნება მარადიულის წმინდათა წმინდისა. ჩვენი სიყვარული ხალხისადმი უნდა იყოს უმწიკვლო, ვით კოცნა ანგელოსისა, მტკიცე, ვით ერთგულება ბეატრიჩეს უკვდავი მომღერალისა, წმინდა, ვით ცრემლები ღვთისა დედისა, გულუბრყვილო და ქალწულებრივი, ვით ცხოვრების ტალღებში ახლად გამოღვიძებულ ყრმისა. მაშვრალთა სიყვარული—ეს სიტყვები გიალერსებენ, ვით მთის ქოჩოზე მოკისკასე ეთერის ფრთები, ვით ჩანჩქერის ცივ ზვირთთა ტკბილ ჰანგად სკვნილი ჰანგები, ვით მწუხარის ჟამის ლოცვა ტყის შრიალში ჩაქსოვილი. ვით ფირუზ სარკეზე აღბეჭდილი ტბის ლეგენდა ტოტდახრილ ტირიფთა და ლერწამთაგან ნაამბობი. დიდი მოუნანიებელი დამნაშავეა ის, ვინც გულში ჩაიკლავს წმინდათა წმინდა გრძნობასა. დედამიწის დემონთა ორმაგ ძალუმ ბოროტებასაც არ შეეძლოს აღმოგვიფხვრას გულიდან ქვეყნის ტრფიალი.

ჩუ, ბულბული გალობს!.. ეს არ არის მხიარული, ზე აღმტაცი, ვით ბეთჰოვენის სიმფონია, ეს გალობა არ არის უდარდელად მოციმციმე, ვით შუქი ირმის ნახტომზე ჩამწკრივებულ ვარსკვლავთა, შუქი, რომელიც დუმილის მკერდზე მიძინებულ ქვეყანას ეფინება და აყვავილებს საოცნებო, სიზმარეთის ედემს რჩეულთა დასატკბობელად, ბედნიერებით განსასვენებლად არა! ეს მოთქმაა დაჩაგრულისა, ეს გოდებაა გაბინდებულ რწმენის სხივისთვის, იმა ქვითინში ისმის კრულვა ცრემლთა ღამის, ვეშაპივით რომ ჩამოწოლილია და ოცნების დილას ასამარებს.

—ეგ სიტყვებია, ჩვენო სიკო, მხოლოდ სიტყვები.—შემოესმა აქეთ-იქიდან და წამს აღფრთოვანებულს ოცნების ფრთები შეეკვეცა. გაბრწყინვებული სახე მწუხარებამ მოუნისლა და მთელის ტანით ააკანკალა. მსწრაფლ შესწყდა მის ფიქრთა ფთილა, გაოცებული შეჰყურებდა ამხანაგებსა და ვერ მიმხვდარიყო, სცდიდნენ, თუ მართლა ეუბნებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

1 სექტემბერი.

ასტრაბადი. მთავრობის ჯარი მაჰმედ-ალის ყველა მომხრეს ალრჩობს. ბარფუშში 5 კაცი ჩამოახრჩეს. რამდენი ჩამოახრჩეს სარში არ იციან. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ როცა მაჰმედ-ალი თეირანისაკენ მიდიოდა და ქალაქებს იღებდა სიკვდილით არავინ დაუსჯია. ყველა თავის მტერს შეიწყალებდა ხოლმე.

თეირანი. სალარ-დოულეს ჯარის ერთ რაზმა, რომელსაც ილსანიე-არდარ-მირვაფერი ჰმეთაურობდა და რომელშიაც 2000 ქელხური იყო დოულეთ-აბადთან მთავრობის ჯარი დაამარცხა. ბახტიარებს 200 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ქელხურებმა აიღეს მათი ბანაკი და ბევრი ფული და იარაღი ჩაიგდეს ხელში, ავრომანის ოლქიდან 500 მხედარი წავიდა.

არდებელი. ამბობენ, რომ სპარსეთის მთელი ასტარა დამწვარიაო.

თავრიზი. ბლომად გაავრცელეს მთავრობის დეპეშები, რომლითაც ხალხს მაჰმედ-ალიზე სრულ გამარჯვებას ატყობინებენ. ნაბრძანებია, რომ გამარჯვება რამაზანის შემდეგ იდღესასწაულონ

მუშათა ცხოვრებიდან

ქუთაისი. მ. ლალიძის და ამხ. ქარხნის მუშების ცხოვრებაზე ბევრჯერ დაიწერა, ბევრჯელაც ითქვა, მაგრამ განა აქცევენ რაიმე ყურადღებას ჩვენი ალები? თვითონ ამ სტრიქონების დამწერს, ხშირად გაუგონია ხსენებულ ქარხნის ადმინისტრატორ ბ-ნ მ. ლალიძისაგან: „სწერონ რამდენიც უნდათ, რამდენიც „ბიჭ ბუჭები“ რაღაცას დაჯღაბნიან იმდენი თუ ანგარიში გაუწიე, ჩემს საქმეს საშველი აღარ ჰქონიაო“. ამავე დროს კი სულ უბრალო მიზეზის გამო ითხოვენ მუშებს. მაგალითად, ამხ. ზაქარიაძე სულ უმიზეზოდ დაითხოვეს. მას უმუშავნია მის ქარხანაში 5—6 წელი, იმავე ქარხანაში დასახიჩრებულა (ფეხი აქვს მოტეხილი, კოჭლობს) და ერთ მშვენიერ დღეს კი დაითხოვეს. მუშას ბევრი უხვეწნია, მაპატიეთ თუ რაიმე გაწყენინეთ; მაგრამ არაფერმა გასჭრა თურმე. განა მხოლოდ ის! ნეტავი ვიცოდე მაინც მიზეზი და საბაბი!..

პ. თოიძე.

კავკავის ჭირ-ვარამი

14 აგვისტოს მოხდა „ქ. შ. წ. კ. გამავ. საზ. კავკავის განყოფილების“ გამგეობის კრება. კრების უმთავრეს საგანს შეადგენდა უფროს მასწავლებლის დანიშვნა. ამ თანამდებობაზე გამგეობამ ოცი თხოვნა მიიღო.

თავმჯდომარე ი. შვილიევმა მოახსენა კრებას: როგორც შეკრებილი ცნობებიდან სჩანს ყველაზე სასურველი კანდიდატი ვ. ბურჯანაძეა. ამის თანახმად გამგეობამ დაადგინა—უფროს მასწავლებლად ვ. ბურჯანაძე მოიწვიონ.

ტ. კახიძე თხოულობს ხელ-ახლად განიხილონ მისი მოხსენება კომისიის არჩევის თაობაზე და თავის მოხსენებას კითხულობს: „გამგეობამ დაწვრილებით თუ არა, მოკლედ მაინც იცის, რომ ჩვენს სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე ისე კარგად არ მიდის, როგორც სასურველია. საქმე უარ და უარ მიდის. ამის მიზეზებს აქ არ ვასახელებ და, თუ ჩემს წინადადებაზედ დათანხმდება გამგეობა, მაშინ დაწვრილებით შემიძლია მოვახსენო. ზოგიერთნი გამგეობის წევრნი უმთავრეს ბრალს ამაში მე მდებენ. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ გამგეობას დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა განიხილოს ყოველივე საქმე სკოლაში სწავლა-აღზრდის დაყენების შესახებ და თავისი მსჯავრი დასდოს. კომისიის წევრებად, თუ დათანხმდებიან, მე ვასახელებ: დავით სიმონის ძეს სარიტლაძეს, ლეონტი ივანეს ძეს გეორგიევს და ალექსანდრე არტემის ძეს მიქელაძეს“.

თავადი ლორთქიფანიძე. უსათუოდ დაინიშნოს კომისია.

თავმჯდომარე შვილიევი: ტ. კახიძე თავის მოხსენებაში ეხება სკოლაში სწავლა-აღზრდის ცუდად დაყენებას. თუ სკოლის გამგედ თითონ იყო თითონვე ყოფილა ამის მიზეზი. რატომ ერთხელ არსად შეგვატყობინა, რომ სწავლის საქმე ცუდად მიდისო. შარშან საზოგადო კრებაზე აქო, ადიდა მასწავლებლები და მადლობა გადაგვახდევინა; მერე ჩამოვიდა რევიზორი პ. სურგულაძე, რომელსაც იმდენი ეჩურჩულა კახიძე, რომ ნაქები მასწავლებლები დაგვილანძღეს და ნ. ყაზბეგს გადებაც დაუპირეს. კახიძე კი გაცხარებული ამტკიცებდა, რაც რევიზორმა დაგვიწერა, ყველა მართალიაო. თავის ნებით, გამგეობის დაუკითხავად გამოიწერა მასწავლებელი ა. რამინაშვილი. როდესაც რამინაშვილი ჩამოვიდა, პირველად კახიძემ აქო, ცამდის აიყვანა მისი სწავლება, გადაცემა, დისციპლინა კლასში და სხვა. ბოლოს მისდგა—ლანძღა რამინაშვილი, იდიოტი ეძახა და გაგდება დაუპირა. ეხლა ახირებულა—კომისია ამოირჩიეთო. რა უნდა გააკეთოს ამ კომისიამ, ან რა უნდა გვიშველოს კომისიამ, ან რომელი კომისია მოახერხებს ყველა ამის გარჩევას?! წელს რევიზორი იყო, სკოლა დაათვალიერა, მოწაფეები გამოსცადა ცოდნაში; თავისი მოხსენება ორ თაბახზე დაწერილი გამოგვიგზავნა, რაღა კომისიები გინდათ?! საქმე აღარა გვაქვს რა თქვენი კომიტების მეტი? აი შენობა მოსათავებელია, საქონლობა ჯერ არ გაგვიმართავს, კაპეიკი ფული არა გვაქვს, რომ მასწავლებლებს ჯამაგირი მივცეთ, ამაზე ვიზრუნოთ სჯობიან რაღაც კომისიების არჩევას და კინკლაობას.

ტ. კახიძე. ოც და სამი წელიწადი უფასოთ ვემსახურე სკოლას, წელიწადში ათი თუმანი ფაეტონისთვის არ მყოფნის სკოლაში სასიარულოთ, ჩემი სიყმაწვილე აქ ჩავყარე, ეხლა კი მევე მლანძღავენ გაზეთებში. მეც ხომ სხვებისავით გაზეთებში არ დავიწყებ ჯღაბნას!... შვილიევი და მღ. ნათაძე მე მდებენ ბრალსა, რომ საქმეს ვურევ, ძალათ გამგის თანამდებობა დავიჩემე.. დეე კომისიამ გაარჩიოს, მართალია თუ არა ყველა ეს.

მღ. ნათაძე. მე კარგად ვიცი დაფარული აზრი კახიძისა, კომისია რაღაც უნდა, მაგრამ ერთი გკითხავთ მე თქვენ, ტ. ბენედიქტეს ძევ, მაინც რა საჭიროა კომისია, ან რას მოგიტანს ეს კომისია?

კახიძე. აწყვეტინებს. მე დაგიმტკიცებ, რომ ბავშვების ლოცვის დროს შენ გაზეთით ხელში ბოლთას სცემდი კორიდორში.

მღ. ნათაძე. გაზეთით ხელში, პაპიროსით პირში არა?!

კახიძე. პაპიროსი არ გიწევია იმ დროს, ამას არ ვტყვი, რაც არ ყოფილა. არა, მე ბევრი სათქმელი მაქვს, გარდა ამისა კომისიამ შენ დაგათვალიეროს, არხივი სკოლისა და, აი, აქ, (უბეზე ხელი იდება) ბევრი საბუთის ქაღალდები მაქვს, რომ მე გამგე ვიყავი და ვარ ეხლაც.

მღ. ნათაძე. მე რაც თქვენთვის მითქვამს, პირში მითქვამს, აი, ამ პირების თანადასწრებით და ამავე პირებმა დასდონ მსჯავრი თქვენს საქციელს. სამაგიეროდ თქვენ ათასჯერ უარესი შეურაცყოფა მოგიყენებიათ ჩემთვის, ეხლაც ქუჩა-ქუჩა, დუქნიდამ ტრახტირებში და ბადვლებში დარბიხართ ათას ჭორს ავრცელებთ ჩემზე, მემუქრებით 24 საათის განმავლობაში გადავასახლებინებ მღ. ნათაძესო“. საპატიო პირები მოდიან და მაფრთხილებენ—„წვრილშვილი კაცი ხართ, ერიდეთ კახიძეს, თორემ ხიფათს შეგამთხვევს და დაგღუპამსო“, მაგრამ ამისათვის ხომ არ დავმუნჯდები და ყოველ თქვენს აზრს არ დავეთანხმები. მე შარშანაც მითხარით განყოფილების დაარსებით გამგის თანამდებობა მოისპო მეთქი, თქვენ ძალიან იწყინეთ ეს, ეგევე ყაზბეგმა ათასჯერ გითხრათ შარშან; როდესაც ვითომც თავს ანებებდით თავმჯდომარეობის თანამდებობას, თავადმა ი. ლორთქიფანიძემ გითხრათ, თუ თავჯდომარეობას თავს დაანებებ—გამგის თანამდებობასაც უნდა დაანებო თავიო; ეხლა ხომ გამგეობიდანაც მიიღეთ ქაღალდი—თავისუფალი ბრძანდები გამგის თანამდებობიდანაო, თქვენ ყველაფერზე ყური მოიყრუეთ, განაგრძობთ ძალათ მაცხოვნობას და იმახით—კომისიამ დამტკიცოს გამგე ვარ თუ არაო, გარდა ამისა რამდენიც უგუნურებაა და სასაცილო ეს თქვენი ახირებული დაჟინება კომისის ამორჩევისა ჩემსა და შვილიევის წინააღმდეგ თქვენთან უთანხმოება ბევრს ჰქონია და აქვს კიდეც. მაგალითად, აი, აქ დამსწრეთაგან ვისთან არ გქონიათ უთანხმოება, ბრძანონ: უთანხმოება და უსიამოვნება გქონდათ თავ. ახათიანთან, ზ. კიკნაძესთან, ზ. მჭედლიშვილთან, ა. ბერბერაშვილთან; გამგეობის წევრმა დ. ერქომაშვილმა კრებაზე პირდაპირ გითხრათ: „ხალხს აფრთხობთ თქვენი ცუდი ხასიათით და ხალხის უკარგავთ საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებისასაო და თუ გამგეობის კრებაზე ცოტა წევრნი ესწრებიან, ეს თქვენი ბრალიაო“. მაშ, ყველას კომისია ამოურჩიოთ, ჩვენ ამ სულელურ კომისიებს მოუნდებით და არსებითი საქმე კი გამოგვეპარება.

კახიძე. (ზიზღით) დ. ერქომაიშვილი რა კაცებში ჩასათვლელია, რომ იმისათვის კომისია ამოვირჩიო.

გ. ელურდაშვილი. მე მეგონა, მართლა რამე საქმისათვის დამიბარეს მეთქი. მე სულ გული გამიფუჭდა თქვენი ლაპარაკით. ერთმა მეორეს აწყენინა, მეორემ უარესი უთხრა... ერთმა მეორეს უნდა დაუთმოს, თორემ როგორ იქნება. რა გაქვთ საკომისიო და სასუდიო.

ალ. ბერბერაშვილი. (კახიძეს) რა კომისია გინდათ, თქვე დალოცვილო, ისეც ცხადად სჩანს, რომ თქვენ ცუდად გადაეკიდეთ მამა გიორგის. არ ვიცი რა გინდათ მაგისგან.

კახიძე. კომისია გაიგებს, რაც მინდა.

დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდება. წევრებს დაღლილობა და მობეზრება ეტყობათ.

თავმჯდომარე. მაშ რა ვქნათ, საჭიროა თუ არა კომისია?

დ. ხარაძე. რაკი აღარ დაგიშლიათ და ასე გულით გინდათ დავნიშნოთ კომისია, მხოლოდ კომისიის წევრებად ჩვენთაგანი დავნიშნოთ და არა გარეშენი, რომელთაც კახიძე თხოულობს.

ირჩევენ კომისიის წევრებად: გამგეობის წევრებს: საექციზო ზედამხედველს ნ. ღამბაროვს, ექიმს გედევანიშვილს და ვექილს დ. სხირტლაძეს.

ახ-ქთ.

მოწყვეტილი ამბავი

სოფ. ბარი (რაჭის მაზრა). ბარელების სწავლა-განათლების საქმე კუს ნაბიჯით მიდის. გონების განმავითარებელ სკოლად მათ უცხიათ შუა სოფელში სამკაპა გზა ესრეთ წოდებული „ზედი“, სადაც კვირა-უქმე დღეებში იკრიბებიან და ერთმანეთის გასართობ-გასაცინებლად ვარჯიშობენ მასხრობა თხუნჯობით ზნეობის განმასპეტაკებლად საშუალებად აურჩევიათ „ლუარსაბის დუქანი“, სადაც აპარებენ თავის ადღა-დიდებს... ხოლო ხასიათის განმამტკიცებლად მათ არის ადგილობრივი სასამართლო.

ერთად ერთი დაწესებულება, რომელსაც ბარელი კაცი გულ-გრილად უმზერს და გვერდს უვლის, არის ადგილობრივი სახალხო სამინისტრო სკოლა. ბარელი კაცი ისე უყურებს ამ სასწავლებლის საქმეს, როგორც თათარი ღორის ხორცს.. მის სასარგებლოდ ნებაყოფლობით ორ გროშს არ გაიღებს, თუმცა უბრალოდ დუქანში ერთ „ქეიფობაში“ თუმნობით ხარჯავს. ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ბარის საზოგადოებაში ეს სასწავლებელი არსებობს და არ იქნა მისი წარმატება, თუმცა ამ ბოლო ხანებში იგი ბევრის მეცადინეობით ორ კომპლექტიანად გადაკეთდა, რის ხარჯიც (მეორე მასწავლებლის და სამღვთო სჯულის მასწავლებლისა) ხაზინამ იკისრა. მანვე აღგვითქვა დახმარება სასწავლებლის შესაფერ შენობის აგებაში. მაგრამ საზოგადოება არც კი ფიქრობს ამ საქმეს. ბარელები რამდენად გულგრილად ეკიდებიან სასწავლებელს იქიდანაც სჩანს, რომ სასწავლებელს საკუთარი მოსამსახურეც კი არა ჰყავს. ამ მოვალეობას ასრულებს სამმართველოს მოსამსახურე, რომელსაც ამასთანავე დაკისრებული აქვს იუდიის „ბრაკონის“ ცხენები, გაჰყვეს მათ მოთხოვნილების დროს, ატაროს ფოსტა წეს-ბარს და ონს შუა 15—20 ვერსის მანძილზე და როგორც სასოფლო სამმართველოსთვის, ისე სასწავლებლისათვისაც სამუშაო შეშა დაამზადოს. ყოველივე ამა მოვალეობათა შესრულებისათვის მას აძლევენ წელიწადში 180 მანეთს! ბარის საზოგადოება ექვსი სოფელი შეადგენს (700—800 კომლი) და თუ მოინდომებენ კარგად შეინახავენ სკოლას. ამ საქმეში ყველაზე უფრო ნაკლებ უნირს თვით ბარი იზენს, სადაც ეს სკოლა არსებობს. სხვა სოფლებში ყველგან თავ-თავისათვის გაიკეთეს საკუთარი სკოლები (სამრევლო) და ყველა თაც მოაწყვეს, ვიდრე ეს საერთო სკოლა. მაგ. ს. მრავალძალმა 8000 მანეთი დაუჯდათ სამრევლო სკოლის შენობა და იქ კი 80 კომლზე მეტი არ სცხოვრობს. თუ კი ასეთმა პატარა სოფელმა შესძლო ასეთ მშვენიერ შენობის აგება, რატომ მთელი საზოგადოება კი არა თაობს, ხსენებულ საერთო სასწავლებლის გამშვენებას?.. სირცხვილიც იქნება რომ ბარელებმა სასწავლებლის საქმე ამ მდგომარეობაში დასტოვონ და მესაფერი შენობა ვერ გაუკეთონ. მით უმეტეს, თუ ეს სოფლები, რომელთაც თავისი საკუთარი სკოლები აქვთ, არ დაიზარებენ და როგორც საერთო საქმისათვის, თავის წილს არ დაიშურებენ, რაზედაც მათ არა აქვთ არც კანონიერი და არც ზნეობრივი უფლება უარი განაცხადონ. მარტო ბარელებსა და სამთისლებსაც შეუძლიანთ დააკმაყოფილონ სკოლის ყოველივე მოთხოვნილებანი, რადგან თითქმის მთელი საზოგადოების ნახევარს შეადგენენ. იმედია ბარელები ამ საქმეში ჩვეულებრივ „ოზოზილიას“ არ გასწევენ, როგორც საადგილმამულო დაარსების საქმეში გასწიეს და კინაღამ საქმე წაახდინეს. რამდენად მაზარალებელი იყო მათი წინააღმდეგობა და რამდენად სასარგებლოა სოფლისათვის საადგილმამულო—ხაზინა ახლა მიხვდა; ზემოხსენებულ სასწავლებლის საქმესაც მომავალი დაასუსტებს.

უკანასკნელის საშუალებით—ბეჭდვითი სიტყვით მივმართავ საერთოდ ყველას ბარის საზოგადოებაში მცხოვრებთ —განსაკუთრებით კი ამ საზოგადოების მოწინავე შვილებს და ყველა შეგნებულ და სწავლა განათლების გულშემატკივართ აღმოუჩინონ ამ სიმპატიურ საქმის კეთილ-წარმატებისათვის რაიმე დახმარება. რადგან სწავლის საქმე ამ უკანასკნელ წლებში ნორმალურ კალაპოტში ჩადგა და კარგად მიდის, მოსწავლეთა რიცხვმაც ერთი ხუთად იმატა (წინად 20—25 იყო, ახლა კი 120 ადამიანები) და მეორე მასწავლებელიც ხაზინის ხარჯით დაინიშნა. შესაფერი შენობის აგებაც ბუნებრივი მოთხოვნილება გახდა.

ივლიანე ჩლაიძე.

ფინლიანდიის საქმე

მკითხველებმა იციან, რომ ერთი ფინურ გაზეთის რედაქტორი აიროლა ვიბორგიდან გააძევეს. მიზეზი ის იყო, რომ მან ხმა ამოიღო და ვიბორგის გუბერნიის ორ სამრევლოს გამოყოფაზე პროტესტი განაცხადა. რედაქტორი ხალხმა დიდი ამბით გააცილა. იგი 25 აგვისტოს უნდა წასულიყო, მაგრამ მთელი დღეს მაინც ქალაქში დარჩა. ამით შეძრწუნებული პოლი-

---

— შენ, ძამია, ცხოვრება ვარდისფრად გეჩვენება. გაიცან ნამდვილად და მალე შეგეცვლება იდეალები.

— რა დროს საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, როდესაც სიმშილით კინაღამ სული ამომხდა, განა სალოცავ ხატად მიჩნეულმა საზოგადოებამ ერთხელ მაინც არის მომაქცია ყურადღება?

— ეგა ახლად სთქვი! ვისაც ჰსურს საზოგადოებას ემსახუროს, უნდა დაივიწყოს პირადობა, თავისი „მე“, რომელიც ქვაკუთხედია ქვეყნიურ ცხოვრებისა.

— მაშ, უნივერსიტეტში იმისთვის არ მივალთ, რომ უმაღლესი სწავლით, მეცნიერებით აღვიჭურნეთ და ქვეყანას ვექილებად, ექიმებად და მასწავლებლებად მოვევლინოთ?

— რას ამბობ, კაცო, რის მეცნიერება! საშა იმიტომ ზიდის იქა, რომ ზიზილ-პიპილებით კეკლუც ბანოვანთა ყურადღება მიიქციოს!

— მაშ არა და შენსავით განდეგილსავით ვიცხოვრებ, შენმა მზემ.

— აი, მართალი სიტყვა! კაცო, მეცნიერება ისე განვითარდა, რომ მგონია, გადალახა კიდეც თავისი სამზღვარი, ასე რომ ჩვენისთანა მუშაკნი მას აღარ ესაჭიროება.

— ლოთუსეინებს დამიხედეთ, ლოთუსეინებს!—მოესმათ მონადიმეთ და თავს წამოადგათ ჩასუქებული, შუა ტანის კაცი, რომელსაც თავი საექვოდ მოსტყლეპოდა და ჭრელა თვალები რაღაც ცუღლუტურად უცინოდა.

— მასწავლებელი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი!—წამოიძახეს ერთხმად და აღტაცებით შეეგებნენ.

— აჰ, რა რიგად გაგვაბედნიერეთ, ძვირფასო, თქვენის მოსვლითა, მეტი არ შეიძლება. წარმოიდგინეთ ლათინური ენის მასწავლებელსაც ვსთხოვეთ, მაგრამ უარი მივიღეთ.

— **Ну что, дуракъ!** გითხოვნია შენც კაცისათვის. განა არ იცით, რომ, როგორც დიოგენი ბოჩკას, ისე ეგ თავის კაბინეტს არა ჰშორდება და სულ იმას ფიქრობს, თუ საგნის სწავლების რომელი მეთოდი ემჯობინება, რომ მოსწავლენი დაინტერესოს მკვდარი ენის შესწავლაში. ასე ჰგონია ვისმეს სამსახურს გაუწევდეს ამით!

— მასწავლებელო, იმის სახლში არ დაიარებით?

— კი, როგორ არა!

— როგორი ცოლი ჰყავს?

— ეჰ, არც იმდენად სახარბიელო. **Иное дѣло жена вашего математика.** იმის ტალიაზე ანგელოსსაც კი თვალი დარჩება, არამც თუ ჩვენ, ცოდვის შვილთ.

— ვაღლეგრძელოთ მასწავლებელი, ვაღლეგრძელოთ!—გაისმა ხმები და წუთის უმალ გამოცლილი ჭიქები სუფრაზე გადმოგორდა.

— აბა, მე რაღა ვისურვო თქვენთვისა? გულითა ვთხოვ ყოვლად ძლიერსა და გრძნეულ ვენერასა, რაც შეიძლება მეტი ქალის გული მოგვგოთ რუსეთში—წარმოსთქვა გასუქებულმა აღმზრდელმა და გადაულურწა კახური.

— ამინ! იახ შივერდი!

— ოხ, შენი ჭირიმე, შენი! სწორედ ასეთი უნდა მასწავლებელი!

— მაშ რა შერჩება ადამიანს ცხოვრებაში!—შემპარავის ხმით დაიწყო მასწავლებელმა.—შემცდარნი არიან იგინი, ვინც სანინსა ჰკიცხავენ. სანინები არიან ცხოვრების ალღოს ამღებნი და მათვე ეკუთვნით მომავალი. ქალი, ოო, უტურფესი სქესია კაცთა შორის დაბადებული. ქალის მშვენიერების წინაშე ყველა ქედს იხრის, ყველა მონებასა რჩეობს. კლეოპატრას მომხიბლაობამ ისე გაიტაცა ანტონიუსი, რომ დაივიწყა სამშობლოს მოვალეობა და იარაღი დაჰყარა მხოლოდ იმიტომ, რომ მის გიჟმაჟ მკერდზე თაყვანი ეცა ნაზ ამურისათვის. მშვენიერი ელენე იყო მიზეზი, რომ უდიდესი ქალაქი ტროადა დაემხო, ნანგრევებად გადიქცა. ჯიოკონდასა და მილოსის ვენერას მშვენიერებით მთელი მსოფლიო მოჯადოებულია. მათი საუცხოვოდ გამოკვანთული ტანი საოცარის ხელოვნებით ნაკვეთი ყოველი ნაკვთი სულს აცისკროვნებს, ვნებას აზვირთებს, განუსაზღვრელ ნეტარებას გვაგრძნობინებს. ქალი რომ ყველა საუნჯეზე უძვირფასესია ქვეყანაზე, უძველეს საუკუნეებში ელლინებს უკვე ჰქონდათ შეგნებული. მათ შეჰქმნეს მითი, სადაც საუცხოვოდ გამოიხატა ხსენებული შეხედულება. აი ის მითი:

ერთხელ საბერძნეთის მეფეს პელეის და ზღვის ქალ-ღმერთს ფეტიდას ქორწილში მიწვეულნი იყვანენ ყველა ქალ-ღმერთნი, გარდა განხეთქილების ქალ-ღმერთის ერიდისა. საქორწინო ნადიმის დროს ერიდამ, რომ შური ეძია მისდამი ეგზომ უყურადღებოდ დატოვებისათვის, სასტუმრო დარბაზში ჩამოაგდო ოქროს ვაშლი, რომელზედაც წარწერილი იყო მხოლოდ ერთად-ერთი სიტყვა „უუმშვენიერესს“. ეს საკმარისი იყო, რომ დავა ასტეხოდათ. სამი ქალ-ღმერთი-გერა, ათინა და აფროდიტა წაიჩხუბნენ. რომელი მათგანი უკეკლუცესი იყო, და მაშასადამე, რომელს ერგებოდა ვაშლი. კთხვის გადასაწყვეტად მიჰმართეს ტროელ მეფის პრიამის ძეს-პარისს. თვითეული ღმერთი სცდილობდა პარისი თვისკენ გადაებირა რაიმე დაპირებით. გერამ აღუთქვა ძლიერება და დიდება, ათინამ-სიბრძნე, აფროდიტამ-ულამაზესი ქალი მთელს ქვეყანაზე. პარისმა, რასაკვირველია, შვი აფროდიტას მისცა.

აი, რა ძლიერია ქალ ისადმი ტრფიალი ადამიანშიო!—დამთავრა მემატიანემ.

— მაშ, ალავერდი მასწავლებელს!-წამოიძახეს ისტორიული ცნობით ნასიამოვნებმა ყმაწვილებმა, თითქოს პირველად მოესმინოთ იგი და თან დამღერეს.

„დედამ რომ შვილი აღზარდოს,

ემაგრე თქვენისთანაო“...

მონადიმეთ ღვინო ისე მოეკიდათ, რომ ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ბაას. ბოლოს ერთი ჭაბუკი წამოდგა, რომლის სიმსუქნე ცხადად ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ნებიერი იყო და ენა მოტეხით დაიწყო.

— რა ფასი აქვს მარტო ქეიფს, თუ სუფრას არ დაგვიმშვენებენ უმშვენიერესი სქესის წარმომადგენელნი, თუ შარბათივით ტკბილი ტუჩებით და მოკუკუკუკე თვალებით არ დაგვილოცავენ გზასა. წინადადება შემომაქვს...

— ბრავო, ბრავო ანდრია! აბა ქალები, გოგოები!-გაისმა ხმა და რამდენიმე ყმაწვილი ხტუნვა თამაშით გაექანენ დუქნისკენ.

— წყეულო, შენ ხომ დაკარგული გაქვს უმანკოება და სხვებს მაინც რად შეაცდენ—უთხრა მასწავლებელმა და ღიმილით გადახედა ახლად პირ ამწვანებულ ყრმათა, რომელთაც სირცხვილისაგან წრიაკი დასხმოდათ და თავი ჩაეღუნათ.

რათა, რათა ბრძანებთ მაგასა?! აქვე უნდა დაიწყოთ, რომ რუსეთში გამოცდილები გამოვცხადდეთ— უპასუხა ერთმა.

სიკო მთლად გაფითრებული იყო, ვით მოჩვენება. ფიქრობდა, თუ რა ხშირად გვეჩვენება ხოლმე იმედის ცისარტყელა, რომელიც საზღაპრო ორფეის ქნარის წკრიალივით შემოგვესმება და მყისვე გაილევა მიწიერთა ხარხარში. გაბედიოდება სიხარული. აზვირთებულ ნაღველით დაიცარება მგრძნობელი გული. შუქმკრთალი ოცნება ჩაინთქება ჩაწყვდიადებულ სევდის ტყეში და მოგონება, მარტოობის პირიფარეში მოგონება და—დაგვრჩება დამწუხრებულებს.—

— მობრძანდით, კეკლუცნო, მობრძანდით!—აზმაურდნენ ვნებათა ღელვით მხეცურად აბორგვილნი და შეეგებნენ „ღამის პეპლებს“.

ვერცხლივით წკრიალა ჭაბუკთა ხმაში მეძავთა ხრინწიანი ხმა შეერია, ასცილდა საბაღნაროებს, თუმცა ნიავი ეურჩებოდა და ცდილობდა მიემკვდარებინა სადმე ხევ ხუვში, აიჭრა ცის კამარად, სადაც ცა ვარსკვლავებით იწერს თავის უბეზე სიმფონიას მიწიერთა ტანჯვა-მწუხარებისას. რათა მგოსანს, ერის ერთგულ მომღერალს გადაუშალოს ბნელი მოთხრობა მშობლი ქვეყნისა, რომ მან ჰანგებად აჰკინძოს ცრემლის ნოტები და ქვეყნის მანკიერება იერემიასავით მოსთქვას...

. . . .

. . . .

Растегни свои застежки.

. . . . . . და სხვა.

არა ცხრებოდა ხრინწიანი ხმა.

სიკო გაცბა, გასავსავდა. სხეული აუკანკალდა. ლალისფერი ტუჩები ქარვად ექცა, აიჭრა გულ-გამკრთალი, რაღაც დაიყვირა ველურის ხმითა და გიჟივით გავარდა ხეივნიდან.

მისი სილუეტი მალე მიიმალა ჩაბნელებულ ბაღში.

შენობები და ხეები ყურადღებას არ აქცევდნენ მონადიმეთა ღრიანცელს და გაუტეხელის დუმილით მოკუმულნი, ტკბილ ძილს მისცემოდნენ. მხოლოდ ერთი უზარმაზარი შენობა შავად და ბნელად აღმართულიყო მაღლა, ძილს არ აპირებდა და თრთოდა, ვით ლანდი მოსვენებისა, თითქოს გულს უქეჩნიდა გამოუმჟღავნებელი ცოდვა, გაუსწორებელი დანაშაული.

მის გუმბათს მიჰყრდნობოდა შავ ძაძებში გამოხვეული ქვეყნის ოცნება და სულთქმით ჰკითხულობდა...

დ. თურდოსპირელი.

ს. ვარდისუბანი. ენკენისთვე 1911 წ.

ცია ფეხზე იდგა და აიროლას ელოდა, მაგრამ ვერ იპოვა. ღამის ათ საათზე რკინის-გზის სადგური ხალხით გაივსო. ამიტომ გამოიწვიეს ქვეითა და ცხენოსანი ჯარი და გაჩნდა ჟანდარმების რაზმი. ხალხი მაინც ემატებოდა. პოლიციამ კარებები შეჰკრა და სადგურზე უბილეთოდ არავის უშვებდა. ხალხი კასას მიაწყდა და ყველა იღებდა ბილეთს მახლობელ სადგურამდის. იმოდენა ხალხი შეიკრიბა, რომ სადგურის შენობა ვერ იტევდა და ბევრი ქუჩაში და კიბეებზე იდგა. აიროლა და მისი მეუღლე მატარებლის წასვლისას მოვიდა. ხალხმა მათ ყვავილები მიაყარა. დაჰკრეს თუ არა მეორე ზარი, ხალხმა მუშების ჰიმნის მღერა დაიწყო. როცა მატარებელი დაიძრა, ხალხმა ერთხმად შესძახა: „ელკენ“! გაცილება ერთი დიდი დემონსტრაცია იყო.

წასვლის წინა ღამეს აიროლას ბანკეტი გაუმართეს, სადაც 10 სიტყვა წარმოსთქვეს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ.

ბილბაო. მდგომარეობა სერიოზულია. სანოვაგე თავდება. ტრამვაი მუშაობს, მაგრამ სალდათები იცავენ..

ჰააგა. ჰოლანდიამ პორტუგალიის რესპუბლიკა სცნო.

პარიზი. გერმანიის პასუხი საბოლოოდ შეიმუშავეს. საღამოზე გაგზავნიან საგანგებო შიკრიკის ხელით.

კრეილი. სანოვაგის სიძვირით გამოწვეულ დემონსტრაციის დროს ხალხმა ბარიკადები გამართა და ჯარს ქვები დაუშინა. რამდენიმე სალდათი და პოლიციელი დაჭრილია. 8 კაცი დაატუსაღეს.

იენა. სოციალ-დემოკრატთა კრებაზე ბებელმა სთქვა, რომ სოციალისტები მომხრენი არიან კეთილ-გონიერულ კოლონიალურ პოლიტიკის და ბუნებრივად ჰსურთ, რომ გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობა ისეთვე იყოს განვითარებული, როგორც სხვა სახელმწიფოებისა. არც ერთმა ეროვნებამ სხვაზე მეტი არ უნდა მიიღოს. გერმანიას მაროკოში რომ სამფლობელო ჰქონდეს, ეს მისთვის ძალიან ხელსაყრელი იქნება. მიუხედავად ამისა, ბებელი მაინც წინააღმდეგია ომისა. ბებელი უარსა ჰყოფს იმ ხმას, ვითომც თუ ომი დაიწყება, სოციალისტები დიდ გაფიცვებს მოახდენენ. საერთაშორისო კონგრესზე 1907 წ. გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა პროტესტი განაცხადეს, როდესაც ფრანგმა სოციალისტებმა ასეთივე წინადადება შემოიტანეს.

ბერლინი. პოლიტიკურ პოლიციის ორმა მოხელემ გუშინ ქუჩაში დაატუსაღა ესპანიის პეტერბურგელი ელჩი. მიუხედავად მისი პროტესტისა და დოკუმენტების ჩვენებისა, იგი საპოლიციო ნაწილში მაინც წაიყვანეს. აქ მისი ვინაობა გამოირკვა და დიდი ბოდიშით გაანთავისუფლეს.

რუსეთი.

მოსკოვი. ერობათა წარმომადგენლების კრებამ დაადგინა, რომ 1912 წ. აპრილს მოსკოვში მოიწვიოს საერთო საერობო კრება საქონლის დაზღვევის საკითხის გამოსარკვევად.

კიევი. მეფე და მისი სახლობა სასახლის მინისტრის თანხლებით აღლუმზე ბრძანდებოდნენ. საღამოს ექვს საათზე მათი უმაღლესობა „პოტემკინის“ აღლუმს დაესწრო.

საღამოთი საქალაქო თეატრში გაიმართა წარმოდგენა. დასდგეს ოპერა „მეფე სალტანი“. წარმოდგენას მეფე მთელი ამალით დაესწრო.

ჩვენი კოოპერაცია

(პასუხის პასუხი ბ. დ. ჩიმაკაძეს).

ს. მათხოჯი (ხონის რაიონი). ჩვენს კოოპერატიულ დუქნის ბედს მუდამ თვალს ვადევნებდი: მახარებდა მისი წინსვლა და მწყინდა უკან დახევა. თვალწინ მედგა დუქნის, როგორც ნაკლი, ისე ღირსება; იმედი მქონდა, რომ ეს ნაკლი თან და თან მოისპობოდა, მაგრამ მოვტყუვდი: წინსვლის მაგიერ დუქანი უკან წავიდა, ღირსების მაგიერ ნაკლი გაბატონდა შიგ. ეს გარემოება ჯერ კიდევ შარშან აღვნიშნე „ახალ გზაში“, მეგონა დუქნის გამგეობა ხმას ამოიღებდა და თავს გაიმართლებდა, მაგრამ იმედი არ გამიმართლდა. საჭირო შეიქნა მეორედ პასუხის მოთხოვნა და როგორც იყო პასუხი გვაღირსა გამგეობის თავმჯდომარემ ბ. დ. ჩიმაკაძემ, მაგრამ ვაი ასეთ პასუხს! ჩვენ ვწერდით: რაკი ეს დუქანი საქონელს პირდაპირ ქუთაისიდან იბარებს, **ხონის ფასებში მაინც უნდა ჰყიდდეს**, აქ კი ამას ვერა ვხედავთ“. (სახ. გაზ., № 345). ბ. ჩიმაკაძე, სწერს: „შემდეგი ბრალდება ბ. მათხოჯელისა ის არის, რომ **საქონელს ხონის ბაზარზე იაფად ვერა ჰყიდდეთ**“. დააკვირდით ბ. მკითხველო! მე ვამბობდი საქონელი ხონის ფასებში მაინც უნდა იყიდებოდეს მეთქი, ბ. ჩიკამაძე კი ასხვაფერებს, თითქოს ჩვენ გვეთქვა „ხონზე იაფად უნდა ჰყიდდესო“. რათ ჩაიდინა ეს ბ. ჩიმაკაძემ! იმისათვის, რომ უნდოდა დაემტკიცებინა, თითქოს ჩვენს დუქანში საქონელი ხონის მაზანდაზე იყიდებოდეს, ჩვენ კი ვამტკიცებთ წინააღმდეგს. მოისმინეთ საბუთები. ავილოთ ხონელი საშვალო მოვაჭრე, რომელიც წლიურ ალებ-მიცემობას 4—5 ათას მანეთს ვერ გადააცილებს ჩვენ კი 12—13 ათასამდე ვვაჭრობთ. როგორც ჩვენ, ისე ეს ხონში მოვაჭრეც საქონელს ქუთაისიდან ვიბარებთ, რასაკვირველია, ერთ და იმავე ფასებში, ხონში მოვაჭრეს ჩვენზე გაცილებით მეტი ხარჯი აქვს: ზედმეტი დუქნის ქირა, ბაზრის გადასახადები, ბაჟები, პატენტი, საქველმოქმედო შესაწირვი და სხვა. ჩვენი დუქანი კი ამ ხარჯების მესამედს თუ იწევა. ხონელ ვაჭარს ჩვენზე მეტი ხარჯი აქვს და ის მაინც ჩვენზე იაფად ჰყიდის საქონელს. დააკვირდით ამ ციფრებს: პირველ ხარისხის სარეცხის საპონი ხონში იყიდება 12½, მათხოჯში კი მეორე ხარისხის, ხანდახან ხონში დანამზადებთან არეულიც 13 კ., შაქარი ხონში 15—16 კ., მათხოჯში—16—17 კ., ნავთი ხონში ფუთი 140—150 კ., მათხოჯში 1 მ. 80 კ.—2 მან., ასანთი ვოლკოვისა და ბროდცკისა ხონში 11 კაპ., მათხოჯში 12—13 კ., მარილი ხონში ნახევარი ფუთი 18—19 კ., მათხოჯში 21 კ. ერთ და იმავე ხარისხის მიტკალი ხონში—16 კაპ., მათხოჯში 18 კ., საპონი „ბოლლო“ ხონში 13 კ., მათხოჯში—15 კ., კანაფი ხონში 18 კ., მათხოჯში 20 კ და სხვა და სხვა.

როგორცა ჰხედავთ მათხოჯში ოჯახისათვის უსაჭიროეს საგნებზე ხონზე მეტი ფასებია; ბ. ჩიმაკაძე ბძანებს: რატომ ერთი საქონელი არ დაასახელით, რომელიც ხონზე მეტი არ ღირდესო. ბ. ჩიმაკაძე ამბობს: მხოლოდ პურს ვყიდით ხანდახან ხონზე ძვირადაო, ჩვენ კი გიმტკიცებთ ბ. ჩიმაკაძევ, რომ პურსაც **ყოველთვის** ზედმეტად ჰყიდით. მასთან ხონში პური პირვ. ხარ. 11 კაპ., მეორესი ათი, თქვენ კი ორივეს ერთად აღომხლილს და ხონთან შედარებით ცუდათ გამომცხვარსაც 13 კაპ. ჰყიდით. დაგვისახელეთ ერთი შემთხვევა მაინც, რომ ხონის ფასში გაგეყიდოთ პური. ჩვენ კი მშვენივრად ვიცით, როგორ მიჰყიდეთ ბ.ბ. ბესარიონ დოქვირს 30 ფუთი და გ. მელაძეს—45.

მეორე უმთავრესი სადაო მუხლი წვრილ მოვაჭრეებთან მეტოქეობაა. ჩვენ ვწერდით, რომ მეტოქეობის ძალით ეს მოვაჭრეები კოოპერატიულ დუქანს უნდა გაუქრო მეთქი და ამაში ყველა შეგნებული კაცი დაგვეთანხმება. ბ. ჩიმაკაძე კი გაიძახის „ძალიან გულქვა ყოფილა ბ. მათხოჯელი, რომ არ ებრალება წვრილი მოვაჭრენიო“. „ნეტა ვიცოდეთ, რომელი „დუქნებია“ საზოგადო დუქნის მეტოქე? სამიკიტნოები?“ დიახ, გიპასუხებთ. ერთი რომ ღვინოს საზოგადო დუქანიც ჰყიდის, მაშ შეიძლებოდა აქაც მეტოქეობა გაემართათ. მეორე. ერთი გვიბრძანეთ გარდა ღვინისა არაფერი იყიდება ამ დუქნებში? თქვენ ისევ დაუმალავთ მკითხველს ამის პასუხს, ჩვენ კი ეხლავ ვეტყვით: ამ დუქნებში ჰყიდიან: სპიჩკას, მარილს, საპონს, ნავთს, თუთუნს, საბაკალეინო ნივთებსაც, ერთის სიტყვით ვაჭრობენ ყველაფერ იმით, რითაც ვაჭრობს საზოგადო დუქანი, მხოლოდ ფართეული არა აქვთ. მკითხველო, თქვენ გკითხავთ შეიძლებოდა, თუ არა ამ პირობებში მედუქნეობის გაწევა? განა წლიურად 12—13 ათას მანეთით მოვაჭრე დუქანი ასეთ წვრილებს აბოგინებდა? მაგრამ ჩვენი კოოპერაცია არა თუ სხვებს უწევს კონკურენციას ფასების დაწევით, არამედ თვითონ უმატებს ფასს, ასე რომ ხშირად ერთ და იმავე საქონელს მეწვრიმალეებთან უფრო იაფად იყიდით, ვიდრე აქ. მაგ. ლადო ჩიმაკაძე შაბიამანს წელს ჰყიდდა 12 კ. გირ., საზოგადო დუქანი ამავე ღირსებისასვე 13 კაპ.; ერთ და იმავე ხარისხის თევზს იგივე მოვაჭრე 30 კ. ჰყიდდა ოყას (სამი გირვანქა), კოოპერ. კი 40 კ., ასევე ყიდდა ნესტორ ადამია... წელს კი დიდი ზამთრის დროს პირდაპირ დანაშაული ჩაიდინა საზოგ. დუქანმა: 40 ფუთი ნავთი ჰქონდა მოტანილი დათოვამდე, დიდი თოვლის გამო სანოვაგის შოვნა გაჭირდა. ჩვენმა დუქანმა კი, ნაცვლად იმისა, რომ ასეთ გაჭირებაში ხალხს დაჰხმარებოდა, არც აცივა, არც აცხელა და ნავთის ფასი გაარკეცა—გირვანქას ორ შაურად ჰყიდდა. გააძვირა აგრეთვე პური, შაქარი, მარილი და სხვა.

რა არის ბატონებო ეს? სად ვსცხოვრობთ? ვის ხელშია საზოგადო საქმე? ხონში ამ დროს ბოქაული უცხადებდა ვაჭრებს, საქონელი არ გააძვიროთო, მათხოჯში კი „პატივსაცემი პირები“ (ეს ბ. ლავრენტის ატესტატია თავისივე თავისადმი მიძღვნილი) აი რას ჩადიან! ბ. ჩიმაკაძე ყოყოჩობს—მეტოქეობის ძალით ბევრი ფურნეები დავხურეთო. ბ. ლავრენტი, პატარა გამოცანას გეტყვით: მათხოჯში იყო ორი ფურნე, ერთის პატრონმა ვაჭრობას თავი მიანება, ეხლა კი საზოგადო დუქნის გარდა ერთი ფურნე და ერთი მეთორნეა. გამოიანგარიშეთ, რამდენ ადგილს იყიდება მათხოჯში პური და რამდენი პურის მცხობელი გააქრეთ? როცა პასუხს წარმოადგენთ, ჯილდოსაც მიიღებთ.

მათხოჯელი.

(დასასრული იქნება)

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, გულ-წრფელი მადლობა გამოვუცხადო ბ.—ნთ: ქ. თავართქილაძეს, მიხ. გაჩეჩილაძეს, ილ. გარსევანიშვილს და მიხ. ცაგარელს, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და გადმომცეს 51 ცალი სხვა და სხვა ქართული წიგნი პეტერბურგის პსიხონევროლოგიურ ინსტიტუტის ქართულ ბიბლიოთეკისათვის.

ვერის ბიბლიოთეკის გამგე
ნინო ენუქიძე.

განცხადებანი

განჯის სათადარიგო აგენტს (სადგურის უფროსის თანაშემწეს) ბ-ნ ჭიჭიკო (აბესალომ) ჯალაგანიძეს.

კარგა ხანია, რაც თქვენ ჩვეულებად გადაგიქცევიათ ჩემს შესახებ საზიზღარ ჭორის გავრცელება. ბევრჯელ მოგმართეთ წერილობით და მოციქულის პირით, ხელი აგეღოთ ცილის წამებაზე და თქვენი შეცდომა ან დაგემტკიცებინათ, ან ბოდიში მოგეხადნათ. მაგრამ თქვენ ჩემ თხოვნას ყურადღება არ მიაქციეთ. ეხლა გიწვევთ სამედიატორო სამართალში. უკეთუ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა 15 დღეში ან საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდით და ან თქვენს მედიატორებს არ დაასახელებთ, საზოგადოების თვალში ხომ ცილის მწამებელი იქნებით და მეც ვეცდები დაკმაყოფილება სხვა კულტურულის გზით ვეძიო. (1—596—1) **ჯაბა უჯმაჯურიძე.**

მუხრანის კერძო
სამკურნალო
გახსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენაანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურის., ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. აზგერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ა. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევა—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ა. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ა. გ. კალაშკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ა. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კოლოხანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს. ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50 (0—108—134

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუდიანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ი. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საზებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარამეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ავასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. ბ. ხ. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.-ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გიუბჩკაა-ინგლისი: 6—6½ საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარციაშვილი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—123)

გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის, აგრეთვე საზებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ადგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—19)

საბუღალტერო კურსები
გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა.
ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.
კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს.
სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.7)

ვამზადებ
ქალ-ვაჟთ საშუალო სასწავლებლის მეოთხე კლასამდე და სხვა სასწავლებლებისათვის ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად.
მისამართი: ტფილისი დიდუბის აფთიაქი, ნინო თათეიშვილი. (6—5)

ექიმი კბილისა
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

„ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“
1860 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.
თმის საზრდელი
„იის ექსტრაქტი“,
Lotion Végétale aux Violettes d'Antibes
ქერტლის საშუალება და თმის გასამაგრებელი.
მთავარი საწყობი: ტფილისი, საადგილმამულო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (12—1294—4)

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 10 ენკენისთვემდე
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-3 წიგნზე
„ნააზრევი“

ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ. **შინაარსი:** წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვაკაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო) 4. ნავთსაყუდლის ძებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია-ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი), 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მეგობრები), 3. ქალის ხვედრი, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყანათა ხელშეხება“) ეს უკანასკნელი, ახალი წერილია. დამატება: რამდენიმე წერილი ხელოვნების შესახებ 1901—1902 წლ. „ცნობის ფურცელ.“—„მოამბიდან“: 1, ქართული თეატრი; 2, თეატრი და ხელოვნება; 3, ხელოვნების გამარჯვება; 4, ქართული ხელოვნება გამოფენაზე, 5, კ. ბ. გაბაშვილის მხატვრობის გამო; 6, „ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი!“

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათუმში: ირ. აგლაძიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზორავაბასთან; გორში: ხოლ. კინაძესთან; თელავლაგში: ი. პაატაშვილთან. (0—10)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი
„კოლხიდა“
რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.
ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.
საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. ცალი ნომერი ერთ შაურად.
ადრესის გამოცვლა: ქუთაისსა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ.
სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.
ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება გაზეთ „კოლხიდა“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ფუტკარაძე

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა:	წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ... ფ. 75 კ.
. . .	წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . . . . ფ. 80 კ.
Bâton-ისა:	„ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ.
მ. ყიფიანისა:	„სამეგრელოს მთავარი ლევან“, 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა:	„მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. მეგველოვების
● მაღაზია ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 5, ტელეფონი № 712,
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
გირ. უდავეხკოთ 25 კაპ.
◆✕✕ მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე. ✕✕◆
(წ.—1053—)

გაფრთხილება
ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებს და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელა“ ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უმსგავსო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ◆ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე ავტორებული ლიტერატურა. ◆
органотерапевтическій институтъ. **профессоръ докторъ ПЕЛЬ и С-вья.**
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
ავადმყოფებს
(Метцль и К-о. № 95425). (12—1481—1)

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.